

შპს W

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	4
ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები.....	5
1. ზოგადი ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	5
3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. ფული და ფულის ექვივალენტები	9
5. სავაჭრო მოთხოვნები.....	9
6. სავაჭრო ვალდებულებები.....	9
7. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი	10
8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	10
9. ხელფასები და სხვა სარგებელი	10
10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	Error! Bookmark not defined.
11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	Error! Bookmark not defined.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

აქტივები	შენიშვნა	31-12-2023	31-12-2022	31-12-2021
მოკლევადიანი აქტივები				
ფული და ფულის ექვივალენტები	4	528,764	262,456	280,377
სავაჭრო მოთხოვნები	5	5,116,764	951,875	697,569
სხვა მიმდინარე აქტივები		17,593	17,710	17,501
სულ მოკლევადიანი აქტივები		5,663,121	1,232,041	995,447
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები		10,447	7,563	7,775
არამატერიალური აქტივები		1,512	1,747	1,983
სულ გრძელვადიანი აქტივები		11,959	9,310	9,758
სულ აქტივები		5,675,080	1,241,351	1,005,205
ვალდებულებები და კაპიტალი				
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო ვალდებულებები	6	3,594,143	569,811	399,753
გადასახდელი ხელფასები		7,061	42,840	35,961
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები		179,179	50,786	32,764
სულ ვალდებულებები		3,780,383	663,437	468,478
გრძელვადიანი ვალდებულებები				
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	7	150,453	150,453	127,281
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		150,453	150,453	127,281
სულ ვალდებულებები		3,930,836	813,890	595,759
საკუთარი კაპიტალი				
გაუნაწილებელი მოგება		1,744,244	427,461	409,446
სულ საკუთარი კაპიტალი		1,744,244	427,461	409,446
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		5,675,080	1,241,351	1,005,205

დირექტორი ----- სვეტლანა ვორობიოვა

მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშგება

	შენიშვნა	2023	2022
შემოსავალი რეალიზაციიდან	7	7,285,267	2,152,815
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	7	(5,450,928)	(1,605,736)
საერთო მოგება		1,834,339	547,079
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	8	(83,504)	(69,923)
ხელფასები და სხვა სარგებელი	9	(338,691)	(364,848)
ცვეთისა და ამორტიზაციის ხარჯი		(4,470)	(3,413)
სხვა ხარჯები		(14,528)	(1,339)
მოგება პროცენტამდე და საკურსო სხვაობამდე		1,393,146	107,556
ზარალი საკურსო სხვაობიდან		(4,578)	(13,402)
მოგება დაბეგვრამდე		1,388,568	94,154
მოგების გადასახადი		(10,371)	(11,454)
წმინდა მოგება		1,378,197	82,700

კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	გაუნაწილებელი მოგება	სულ კაპიტალი
ნაშთი 2022 წლის 1 იანვარი	409,446	409,446
დივიდენდის გატანა	(64,685)	(64,685)
წმინდა მოგება	82,700	72,986
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბერი	427,461	427,461
დივიდენდის გატანა	(61,414)	(61,414)
წმინდა მოგება	1,378,197	173,041
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერი	1,744,244	1,744,244

ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს W დაფუძნდა 2012 წელს და რეგისტრირებულია შემდეგ მისამართზე: თბილისი, მთაწმინდის რაიონი, თ. ჭოველიძის ქ. №11. კომპანიის საიდენტიფიკაციო კოდია: 404415334. კომპანიის მეწილეები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

ვერონიკა პისარენკო, MP2971237, 4310367A011PB4 (ბელარუსი) - 46.25%

ნინო სანაია, 39001008574 - 25.00%

სვეტლანა ვორობიოვა, 4290766A068PB0, MC2178318 (ბელარუსი) - 25.00%

ნატალია აგენკო, 4040473A005PB9, MP4015511 (ბელარუსი) - 3.75%

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა სხვადასხვა ტიპის ინტერნეტ-მარკეტინგული მომსახურების გაწევა კლიენტებისთვის. იგი საკუთარ საქმიანობას აწარმოებს წესდებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიას მართავს დირექტორი სვეტლანა ვორობიოვა, 4290766A068PB0, MC2178318 (ბელარუსი). აღსანიშნავია, რომ დირექტორი სვეტლანა ვორობიოვა ფლობს კომპანიის 25%-ს.

2. მომზადების საფუძველი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის დაშვებით - ანუ დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ მისი საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება შესაფერისია კომპანიისთვის.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსურ ანგარიშგებაში თანხები წარდგენილია დამრგვალების გარეშე, ქართულ ლარში.

ფასს-ის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების მომზადება კომპანიის ხელმძღვანელობისგან ითხოვს გარკვეული შეფასებების გაკეთებას, რაც გავლენას იქონიებს აქტივებისა და ვალდებულებების ღირებულებაზე ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისათვის, ასევე

იმოქმედებს შემოსავლისა და ხარჯების ოდენობაზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში ფაქტიური შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს მიმდინარე შეფასებისაგან. შეფასებები პერიოდულად გადაიხედება.

3. კომპანიის მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

3.1 ვალუტა

კომპანია ფუნქციონირებს საქართველოს ტერიტორიაზე და მის ფუნქციონალურ და წარსადგენ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი. აქედან გამომდინარე წინამდებარე ანგარიშგების ყველა მონაცემი მოცემულია ქართულ ლარში, თუ სხვაგვარად მითითებული არ არის.

უცხოურ ვალუტაში მოცემული მონეტარული აქტივების და ვალდებულებების მუხლები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსის მიხედვით საანგარიშო თარიღისათვის; რაც შეეხება კონვერტაციის დროს წარმოშობილ კურსთაშორის სხვაობებს, ისინი აისახება ოპერაციის დღეს არსებული ოფიციალური კურსით, მოგებისა და ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების ანგარიშში. 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსები შემდეგია:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
2023 წლის 31 დეკემბერი	2.6894	2.9753
2022 წლის 31 დეკემბერი	2.7020	2.8844

3.2 ძირითადი საშუალებები

კომპანია ძირითადი საშუალებების აღრიცხვას ახორციელებს მსს-ის შესაბამისად.

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, მათ შორის იურიდიულ და საბროკერო მომსახურების ღირებულებას, საბაჟო და სხვადასხვა გადასახადებს, ყოველგვარი სავაჭრო ფასდათმობებისა და შეღავათების გარეშე, სხვა პირდაპირ დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ დაკავშირებულია აქტივის დანიშნულების ადგილამდე მიტანასა და სამუშაო მდგომარეობაში მოყვანასთან, აგრეთვე აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან. რაც შეეხება მცირე რემონტის და ტექნიკური მომსახურების ხარჯებს, ისინი აღირიცხება მათი გაწევისას პერიოდის ხარჯად.

აქტივზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც აქტივი იმყოფება იმ ადგილას და მოყვანილია ისეთ სამუშაო მდგომარეობაში, რომ შესაძლებელია აქტივის ექსპლუატაცია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნების შესაბამისად. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით, რაც

გულისხმობს ძირითადი საშუალებების ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის მანძილზე. მიწას და დაუმთავრებელ მშენებლობებს ცვეთა არ ერიცხება. აქტივზე ცვეთის დარიცხვა წყდება მას შემდეგ, როდესაც შეწყდება მისი აღიარება. რაც შეეხება ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს, შემდეგია:

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)
ოფისის აღჭურვილობა	3-5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-5

აქტივების მომსახურების ვადის დადგენისას გაითვალისწინება შემდეგი ფაქტორები: 1. საწარმოს მიერ აქტივის მოსალოდნელი გამოყენების რეჟიმი; 2. სავარაუდო ფიზიკური ცვეთა, რომელიც დამოკიდებულია სხვადასხვა საწარმოო ფაქტორებზე; 3. ტექნიკური ან კომერციული მოძველება, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს კომპანიაში არსებული პროცესების მოსალოდნელი ცვლილებებით ან გაუმჯობესებით; 4. აქტივის გამოყენების საკანონმდებლო ან მსგავსი შეზღუდვები.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარება უნდა შეწყვიტოს მისი გაყიდვის/გასვლის შემთხვევაში ან როდესაც გამოყენებიდან და გაყიდვიდან არანაირი ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა ასახოს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც მისი აღიარება შეწყდა. საწარმომ ამ სახის შემოსულობას არ უნდა მიაწიოს ამონაგების კლასიფიკაცია.

3.3 გადასახადები

მოგების გადასახადის მიმდინარე ხარჯი გამოიანგარიშება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გადავადებული აქტივებისა და ვალდებულებების დაანგარიშება მიმდინარე სხვაობებთან მიმართებაში ხდება ვალდებულებების აღრიცხვის მეთოდით.

2017 წლის 1 იანვრიდან სამეურნეო სუბიექტების მიერ მიღებული წლიური მოგება საქართველოში არ იბეგრება, გარდა სადაზღვევო კომპანიებისა, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და ბანკებისა. მოგების გადასახადი ირიცხება დივიდენდებზე, რომელიც გაიცა ფიზიკურ პირებზე ან საქართველოს არარეზიდენტ იურიდიულ პირებზე 15/85 წმინდა განაწილებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა. 2008 წლის 1 იანვრიდან 2017 წლის 1 იანვრამდე დაგროვილი გაუნაწილებელი მოგებიდან გაცემული დივიდენდები იბეგრება მოგების გადასახადით გამოანგარიშებამდე მთლიანი მოგების დადგენილ ღირებულებაზე, რომელიც შემცირებულია შესაბამისი საგადასახადო ჩათვლით, რომელიც ითვლება როგორც დასაბეგრ მოგებაზე გამოცხადებული და გადახდილი მოგების გადასახადის წილი იმავე წლის მთლიან წმინდა

მოგებაში, გამრავლებული გასაცემ დივიდენდებზე. აღსანიშნავია, რომ საგადასახადო ჩათვლის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს დივიდენდების განაწილებიდან წარმოქმნილ რეალურ მოგების გადასახადს.

საქართველოში აგრეთვე მოქმედებს სხვადასხვა საოპერაციო გადასახადები, რომლებიც გავლენას ახდენს კომპანიის საქმიანობაზე. ეს გადასახადები აღირიცხება ზოგად და ადმინისტრაციულ ხარჯებში.

3.4 შემოსავალი რეალიზაციიდან

კომპანია ამონაგებს აფასებს მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებიდან გამოიქვითება კომპანიის მიერ გაცემული ყველანაირი ფასდათმობა. როდესაც ფულადი სახსრების ან ფულადი სახსრების ექვივალენტების შემოსვლა გადავადებულია და შეთანხმება თავისი არსით, ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს, ანაზღაურების რეალური ღირებულება არის მომავალში მისაღები ყველა თანხის დღევანდელი ღირებულება, რომელიც გამოითვლება პირობითი საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. შემოსავალი არ აღიარდება, როდესაც საქონელი და მომსახურება იცვლება ანალოგიური ბუნებისა და ღირებულების მქონე საქონელსა და მომსახურებაზე ან საქონელი ან მომსახურება იცვლება სხვა სახის ან ღირებულების საქონელზე ან მომსახურებაზე, მაგრამ ოპერაციას არ გააჩნია კომერციული შინაარსი.

3.5 ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის, მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ. დაქირავებულ პირთა მოკლევადიან გასამრჯელოებად (შრომის ანაზღაურება და ბონუსები) ითვლება ის გასამრჯელოები, რომლებიც მთლიანად უნდა იქნეს გადახდილი იმ საანგარიშო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში, როდესაც დაქირავებულმა პირმა მომსახურება გასწია. საწარმო დაქირავებულ პირთა გასამრჯელოებთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს აღიარებს, როგორც ვალდებულებას და როგორც პერიოდის ხარჯს.

3.6 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები.

კომპანია ხარჯების აღიარებას ახდენს მაშინ, თუ საწარმოდან მომავალი ეკონომიკური სარგებლის გასვლა დაკავშირებული იქნება აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს იჯარის, კომუნალურ, სამეურნეო და იმ ტიპის ხარჯებს, რომლებიც აუცილებელია კომპანიის მიმდინარე საქმიანობის სრულყოფილად წარმართვის უზრუნველსაყოფად.

4. ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიას ფული განთავსებული აქვს საბანკო ანგარიშებზე.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

ფული და ფულის ექვივალენტები	31-12-2023	31-12-2022
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	198,096	16,114
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	330,668	246,342
სულ	528,764	262,456

5. სავაჭრო მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები შედგება იმ დებიტორებისგან, რომელთაც კომპანიამ გაუწია მომსახურება და რომელთაგანაც მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო მოთხოვნები	31/12/23	31/12/22
რეზიდენტი მყიდველები	4,986,066	817,053
არარეზიდენტი მყიდველები	130,702	134,822
სულ სავაჭრო მოთხოვნები	5,116,768	951,875

6. სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები შედგება იმ კრედიტორებისგან, რომელთაგანაც კომპანიამ მიიღო საქონელი/მომსახურება და მომსახურების თანხა ჯერ არ იყო ჩარიცხული 31 დეკემბრის მდგომარეობით.

2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საბალანსო ნაშთები:

სავაჭრო ვალდებულებები	31-12-23	31-12-22
იურიდიული პირები	3,573,592	545,454
ფიზიკური პირები	20,551	24,357
სულ სავაჭრო ვალდებულებები	3,594,143	569,811

7. შემოსავალი რეალიზაციიდან და თვითღირებულების ხარჯი

საწარმოს შემოსავლები აქვს როგორც ქართულ ბაზარზე მოღვაწე კომპანიებისგან ასევე არარეზიდენტი კომპანიებისგან, რომელთა მიზანიცაა ბრენდის შექმნა/გადლიერება და გაყიდვების გაზრდა.

საერთო მოგების გაანგარიშება	2023	2022
შემოსავალი მომსახურების რეალიზაციიდან	7,285,267	2,152,815
რეალიზებული მომსახურების თვითღირებულება	(5,450,928)	(1,605,736)
საერთო მოგება	1,834,339	547,079

8. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

2023 და 2022 წლებისთვის ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	2023	2022
იჯარის ხარჯი	47,212	48,997
ოფისის ხარჯი	5,178	1,299
კომუნალური ხარჯი	4,801	4,567
საკონსულტაციო ხარჯი	3,500	5,545
საბანკო ხარჯი	3,140	2,077
მიწოდების ხარჯი	3,137	2,770
მივლინების ხარჯი	2,805	1,345
საკანცელარიო ხარჯი	1,370	691
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი	12,361	2,632
სულ	83,504	69,923

9. ხელფასები და სხვა სარგებელი

ხელფასები და სხვა სარგებელი მოიცავს საწარმოს მიერ გაცემულ ყველა სახის ანაზღაურებას, დაქირავებულ პირთა, მათ შორის დირექტორებისა და ხელმძღვანელობის მიერ გაწეული მომსახურების სანაცვლოდ.

ხელფასებისა და სხვა სარგებლის ჩაშლა კატეგორიებად წარმოდგენილია ქვემოთ:

ხელფასები და სხვა სარგებელი	2023	2022
სახელფასო ხარჯი	317,361	342,691
საპენსიო და სხვა სარგებელი	21,330	22,157
სულ	338,691	364,848

10. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

2023 და 2022 წლებში მენეჯმენტზე დარიცხულმა კომპენსაციამ შეადგინა 120,600 ლარი და 119,894 ლარი შესაბამისად.

11. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი არ ჰქონია ისეთ მოვლენას, რომელიც საჭიროებს ფინანსური ანგარიშგების კორექტირებას ან დამატებითი ინფორმაციის გამჟღავნებას.

